

რეკომენდაცია

პოლიტიკური შეხედულების ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის მე-20¹ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“
საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად*

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველს 2021 წლის 2 თებერვალს განცხადებით¹ მომართა დ. ჭ.-მ, რომელმაც მოითხოვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან² დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის შესწავლა.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლის პოზიცია

განცხადების თანახმად, დ. ჭ. 2014 წლის 15 ოქტომბრიდან³ დასაქმებული იყო სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე. სკოლის დირექტორობის პერიოდში, დ. ჭ.-ის მხრიდან, არ დაფიქსირებულა არც ერთი გადაცდომა და მას შენიშვნა ან სხვა ტიპის პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. აღნიშნულის მიუხედავად, 2020 წლის ოქტომბრის თვეში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, არ დაინიშნა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მინისტრის მიერ არაერთი სკოლის დირექტორი დარჩა მოვალეობის შემსრულებლად, რომლებსაც, რიგ შემთხვევებში, ამოწურული ჰქონდათ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების 12 წლიანი ვადა. ამასთან, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის დირექტორი, რომელიც ერთ-ერთი იყო იმ 6 დირექტორს

¹ დ. ჭ.-ს 2021 წლის 02 თებერვლის განცხადება N903/21

² განსახილველ პერიოდში სამინისტროდან არ იყო გამოყოფილი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

³ 2014 წლის 15 ოქტომბრის შრომითი ხელშეკრულება N1

შორის, რომელსაც არ გაუგრძელდა დირექტორობის ვადა⁴, 2020 წლის დეკემბრის თვეში განმეორებით დაინიშნა მოვალეობის შემსრულებლად⁵. დ. ჭ.-ის განმარტებით, **სამინისტროს უარი მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის თაობაზე განპირობებული იყო მისი მეუღლის, ა. ლ.-ისა და შვილის, ბ. ლ.-ის, პოლიტიკური აქტივობით.** კერძოდ, ა. ლ. 2012 წლამდე იყო სოფელ ციხისძირის გამგებელი, ხოლო შემდგომი პერიოდიდან, აქტიურად იყო ჩართული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობაში. ბ. ლ. კი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ეხმარებოდა ამავე პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატ ცეზარ ჩოჩელს⁶.

დ. ჭ.-ის განცხადებით, მისი მეუღლის საქმიანობასთან დაკავშირებით, აფრთხილებდა სოფელ ქსნის რწმუნებული გიორგი ჯიქია, რომ ა. ლ.-ს პოლიტიკური საქმიანობა აღარ გაეგრძელებინა. 2021 წლის 16 მარტს განმცხადებელმა სახალხო დამცველს წარმოუდგინა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური ადმინისტრაციის უფროსის მიერ გაცემული ცნობა⁷, რომლითაც აღნიშნულია, რომ ა. ლ. არის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი და იგი აქტიურად მონაწილეობდა საარჩევნო კამპანიაში და სხვადასხვა პარტიულ ღონისძიებებში.

განმცხადებლის პროფესიულ საქმიანობასთან და კვალიფიკაციასთან მიმართებით განცხადებაში აღნიშნულია, რომ დ. ჭ.-მ თავის გუნდთან ერთად არაერთი ღირებული პროექტი⁸ განახორციელა, რის შედეგადაც სკოლა გახდა ცნობადი არამარტო მცხეთის რაიონში, არამედ მთელ საქართველოში.

⁴ სტატია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QtYw5a>

⁵ დ. ჭ.-ს 2020 წლის 04 დეკემბრისა და 2021 წლის 15 იანვრის განცხადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს

⁶ ცეზარ ჩოჩელი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრიდა მცხეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის N11 მაჟორიტარულ ოლქში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ეგიდით

⁷ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური ადმინისტრაციის უფროსის, ზურაბ მელიქიშვილის 2021 წლის 12 მარტის ცნობა N124/01

⁸ განმცხადებლის მითითებით, სოფელ ქსნის საჯარო სკოლაში გაძლიერდა ქართული ენის სწავლება ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეებისთვის; საგრძნობლად გაიზარდა სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტი; 2015 წელს სკოლის პროექტმა „თეატრი სკოლაში“ გაიმარჯვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებულ „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ კონკურსში, ქართული ენის სწავლების კუთხით და მოიპოვა გრანტი; ამის შემდგომ, იმავე კონკურსში სკოლამ კვლავ მოიპოვა გრანტი, რომლითაც შეივსო სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 2000 წიგნით; სკოლის მოსწავლეებმა 2019 წელს მონაწილეობა მიიღეს ქართული ენის დღისადმი გამოცხადებულ კონკურსში, რომელშიც ეთნიკურად აზერბაიჯანელმა მოსწავლემ საქართველოს მასშტაბით მიიღო პირველი ადგილი; მოსწავლეები, ასევე, აქტიურად მონაწილეობდნენ ესეებისა და სამოქალაქო კუთხით გამოცხადებულ კონკურსებში, სადაც ბევრი წარმატება დაიმსახურეს; სკოლა გახდა ნიკო კეცხოველის კონკურსის ფინალისტი, მოიპოვა მწვანე სკოლის სტატუსი და გრანტი 2000 ლარის ოდენობით; პროექტის „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში სკოლაში მოსწავლეებს ერთი წლის მანძილზე ასწავლიდა უცხოენოვანი მოხალისე, რომელსაც მოცემული მომენტისათვის წარმატებით მიჰყავს ტელესკოლაში ინგლისური ენის გაკვეთილები; საგურამოს ჭრა-კერვის ტექნიკუმსა და ქსნის

განმეორებით დანიშვნაზე უარის მიღების შემდგომ, დ. ჭ.-ის თანამდებობაზე დატოვების მოთხოვნით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს კოლექტიური განცხადებით მიმართეს სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლის მასწავლებლებმა⁹. განცხადებაში დ. ჭ.-სთან მიმართებით აღინიშნა, რომ იგი იყო ძალზედ აქტიური, თავისი საქმის მოყვარული და მიზანდასახული დირექტორი, ყოველთვის მზად იყო ნებისმიერი გამოწვევისთვის, რის დასტურსაც წარმოადგენდა სკოლის ჩართულობა მრავალ პროექტსა თუ კონკურსში. მისი პროფესიონალიზმის გათვალისწინებით, იგი წარმოადგენდა მაგალითს სხვა პედაგოგებისთვის, მუდმივად უზრუნველყოფდა სკოლას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რათა სწავლების პროცესში არ წარმოშობილიყო რაიმე ხელის შემშლელი ფაქტორები. სწავლების პროცესში ყოველთვის ნერგავდა ახალი სწავლის მეთოდებს. სკოლაში მოსწავლეებს შექმნილი ჰქონდათ უსაფრთხო სასწავლო გარემო, დაცული იყო ყველანაირი სტანდარტი სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისითაც. პედაგოგების შეფასებით, სწორედ, დ. ჭ.-ის ფაქტორმა განაპირობა ის, რომ სკოლა სასურველი იყო ყველა მოსწავლისა და მშობლისთვის.

განმცხადებლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დატოვების მოთხოვნით სამინისტროს განცხადებით ასევე მიმართეს სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლებმაც. განცხადებაში მშობლები დ. ჭ.-ს ახასიათებენ როგორც სკოლისადმი დიდი ღვაწლისა და თავდადების მქონე დირექტორს, რომელმაც თავისი თანადგომით, მიდგომებითა და მაღალი პროფესიონალიზმით უზომოდ შეაყვარა თავი მათ შვილებს. მშობლები მინისტრს სთხოვენ, *არ წაართვას მათ შვილებს ის სიხარული და ხალისი, რაც დ. ჭ.-სთან ურთიერთობისას უზნდებათ*¹⁰.

2021 წლის 18 იანვარს სახალხო დამცველს დ. ჭ.-მ წარმოუდგინა დამატებითი განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლის დირექტორად დანიშნა ამავე სკოლის პედაგოგი, ნ. ქ., რომელსაც არ აქვს დირექტორობის

საჯარო სკოლას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა პროექტები „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“ და „მეხილეობა-მევენახეობა“, რამაც წარმატებით იმუშავა და ასევე დიდი დაინტერესება მოიპოვა სკოლის მოსწავლეებში; სკოლაში შეივსო და განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა; ასევე, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლების კუთხით, სკოლის გუნდთან ერთად, შემუშავდა ხარისხის მართვის დოკუმენტი, რომელიც, მცხეთის რესურსცენტრის დირექტორის თხოვნით, დ. ჭ.-მ გააცნო რაიონის დირექტორებს. აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობის შედეგად ყველა მასწავლებელმა მოიპოვა უფროსი პედაგოგის წოდება, ხოლო 5 მასწავლებელი ელოდა წამყვანი მასწავლებლის სტატუსს. თავად განმცხადებელს აქვს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. სკოლის ყველა წარმატება ასახულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამის სამსახურში.

⁹ სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის პედაგოგთა 2020 წლის 16 ოქტომბრის კოლექტიური განცხადება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს. განცხადებას ხელს აწერს 31 მასწავლებელი

¹⁰ სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლების განცხადება, განცხადებას ხელს აწერს 16 მშობლი. აღნიშნული დოკუმენტი სახალხო დამცველს წარმოუდგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ

სერთიფიკატი და რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ერთ-ერთი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო. დ. ჭ.-ს შეფასებით, ნ. ქ.-ს, საარჩევნოდ გაწეული შრომა, დირექტორად დანიშვნით დაუფასეს. განცხადებასთან ერთად დ. ჭ.-მ წარმოადგინა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი¹¹, რომელშიც ნ. ქ.-ის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის ფაქტია ასახული.

1.2. მოპასუხის პოზიცია

საქმისწარმოების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან¹². სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილ კორესპონდენციებში სამინისტრო შემოიფარგლა ზოგადი ხასიათის ინფორმაციით და კონკრეტულად დ. ჭ.-ს დანიშვნაზე უარის საფუძვლები ანდა ვადის გაგრძელების მიზანშეწონილობისას გამოყენებული კრიტერიუმები არ განუმარტავს.

მიღებული პასუხის თანახმად¹³, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლასა და მოქალაქე დ. ჭ.-ს შორის 2014 წლის 15 ოქტომბრიდან 6 წლის ვადით გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება. საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებში სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულ და მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დანიშნულ დირექტორებს 2020 წლის სექტემბრიდან ეტაპობრივად ამოეწურათ შრომითი ხელშეკრულების 6 წლიანი ვადა. კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული დირექტორების უფლებამოსილების ვადის შეწყვეტა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით ხდება. მსგავსი პროცესი ყოველწლიურად მიმდინარეობს და სხვადასხვა დროს არჩეულ ან დანიშნულ დირექტორებს შრომითი ხელშეკრულების ვადა ეწურებათ.

სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული ვადის შესახებ ინფორმირებულია ყველა დირექტორი, როგორც ხელშეკრულებაზე ხელმომწერი ერთ-ერთი მხარე. „ზოგადი

¹¹ საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის - 21.11.2020 საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, საარჩევნო ოლქი N11, საარჩევნო უბანი N11.27.46

¹² საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 12 თებერვლის N13-1/1504 კორესპონდენცია; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 22 მარტის N13-1/2704 კორესპონდენცია. სამინისტროს ეთხოვა წარმოედგინა ინფორმაცია განცხადებებში განხილულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ამასთან: წარმოების მასალები; რა გახდა დ. ჭ.-სთვის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველი; 2020 წლის პერიოდში რამდენ დირექტორს ამოეწურა ვადა და მათგან რამდენის დანიშვნა მოხდა განმეორებით მოვალეობის შემსრულებლად; რატომ და რა საფუძველით ეთქვათ რიგ დირექტორებს უარი განმეორებით დანიშვნაზე; დირექტორების დანიშვნა-გათავისუფლებისას რა კრიტერიუმებსა და გარემოებებს ეყრდნობა სამინისტრო; სამინისტროს მხრიდან ხდებოდა თუ არა სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლის მონიტორინგი დ. ჭ.-ის დირექტორობის პერიოდში, რა პერიოდულობით და როგორი იყო შეფასება თითოეულ შემთხვევაში.

¹³ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2021 წლის 22 თებერვლის N MES7210000143605 და 2021 წლის 01 აპრილის N MES1210000315310 კორესპონდენცია

განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დირექტორისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი უფლებამოსილია დანიშნოს და გაათავისუფლოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნამდე, დირექტორის ფუნქციებს ასრულებს დადგენილი წესით განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებული პირი.

დ. ჭ.-ის დირექტორობის პერიოდში სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლის შეფასებასთან მიმართებით მოპასუხემ აღნიშნა, რომ სამინისტროში არ არის დაცული რაიმეს სახის ინფორმაცია სკოლის მონიტორინგის შესახებ¹⁴.

2. სამართლებრივი შეფასება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის¹⁵.

თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებია, განმტკიცებული ყველა მნიშვნელოვან ინსტრუმენტში. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს როგორც კონსტიტუციით, ასევე საქართველოს სხვა კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით თანასწორ სარგებლობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს ისე მის მიზანს¹⁶. აღნიშნული მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური

¹⁴ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2021 წლის 01 აპრილის N MES1210000315310 კორესპონდენცია

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის № 1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე N1/1/493, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II, 1).

კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

ადამიანის უფლება - იყოს დაცული დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან, განმტკიცებულია არა ერთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში, რომელთა შორის აღსანიშნავია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენცია. კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

ამავე კანონის მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის საფუძველზე, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ **განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ**. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს **ობიექტური და გონივრული გამართლება**, ე. ი. არ ისახავს **კანონიერ მიზანს** და არ არსებობს **პროპორციულობის გონივრული კავშირი** გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის¹⁷.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში **დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი**, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. აღნიშნული ნორმა თავის თავში მოიცავს, მათ შორის, ასოციაციით დისკრიმინაციას, რომელიც სახეზეა, როდესაც ადამიანს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებენ, ვინაიდან მასთან დაკავშირებულ პირს აქვს დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე საფუძველი¹⁸. **მოცემულ შემთხვევაში პირი დისკრიმინაციის ობიექტი ხდება არა იმიტომ, რომ მას თავად ახასიათებს რომელიმე დაცული ნიშანი, არამედ იმიტომ, რომ ის დაკავშირებულია ამგვარი ნიშნის მქონე სხვა პირთან.**

2.1. უფლება, რომლით სარგებლობაშიც შესაძლოა პირს ხელი შეეშალოს

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული შრომის თავისუფლება სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში¹⁹. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის უფლება ვრცელდება შრომით სამართლებრივ ურთიერთობებზეც. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საფუძველზე, კონსტიტუციით დაცულია არა მხოლოდ უფლება, აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისაგან და ისეთი რეგულირებისგან, რომელიც პირდაპირ

¹⁷ Eweida and others v. United Kingdom, App. Nos. 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, § 87-88 (15/01/2013, ECtHR); Burden v. United Kingdom, App. No. 13378/05, § 60 (29/04/2008, ECtHR).

¹⁸ საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 25 აპრილის რეკომენდაცია „გარეგნობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ“, 7, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040913500681023.pdf>

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბერის გადაწყვეტილება საქმე N1/1/493, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას²⁰.

შრომის უფლება, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის გარანტია, აგრეთვე, აღიარებულია მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში, შრომის უფლება მე-8 მუხლით (პირადი ცხოვრების უფლება) დაცულ სფეროს მიეკუთვნება. სწორედ მე-8 მუხლთან კავშირში განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დასაქმების ადგილებზე დისკრიმინაციის აკრძალვის (მე-14 მუხლი) სავარაუდო დარღვევის საქმეებს²¹. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამისად, სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის შესაძლებლობას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება²². დასახელებული მოწესრიგების ფარგლებში, სახელმწიფოები ვალდებული არიან, მიიღონ შესაბამისი ზომები შრომითი უფლებების დარღვევისგან დასაქმებულთა დასაცავად²³. გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის განმარტებით, პაქტით დაცული შრომა უნდა იყოს ღირსეული შრომა, რაც მოიცავს სამუშაოს შესრულების პროცესში დასაქმებულის ფიზიკური და მენტალური მთლიანობისა და მისი ფუნდამენტური უფლებების პატივისცემას²⁴. ამასთან, აკრძალულია ნებისმიერი დისკრიმინაცია დასაქმების მისაწვდომობასა და შენარჩუნებაში, რაც მიზნად ისახავს ან იწვევს შრომის უფლებით თანასწორობის საწყისებზე სარგებლობაში ხელშეშლას²⁵.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „შრომისა და დასაქმების სფეროში“ N111 კონვენციის თანახმად, შრომით ურთიერთობაში დაუშვებელია რაიმე ნიშნით განსხვავება. მხედველობაშია მისაღები, რომ შრომის უფლება ადამიანის ინდივიდუალური, პიროვნული თავისუფლებისა და ღირსების კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

შრომითი კანონმდებლობა თავადაც განამტკიცებს მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს. კერძოდ, შრომის კოდექსის მიხედვით, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად

²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე N2/2-389, II. პ.19
²¹ იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: I.B. v. GREECE

²² ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 6, ნაწილი 1

²³ გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR), ზოგადი კომენტარი №18: შრომის უფლება (პაქტის მე-6 მუხლი), 6 თებერვალი 2006, E/C.12/GC/18, პარ. 35

²⁴ გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N18 (2005), შრომის უფლება (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლი), E/C.12/GC/186, პარ. 7-8

²⁵ იქვე, პარ. 12

მიღწეული შეთანხმებით.²⁶ შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით²⁷. დისკრიმინაციის აკრძალვა, მათ შორის, ვრცელდება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზეც²⁸. წინააღმდეგ შემთხვევაში, შრომით ურთიერთობათა სივრცე და სფერო, მოკლებული იქნებოდა სტაბილურობას, რაც ამ სამართალურთიერთობის ხასიათს მერყევს და არასანდოს გახდიდა.

რაც შეეხება განსახილველ შემთხვევას, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლასა და დ. ჭ.-ს შორის 2014 წლის 15 ოქტომბრიდან 6 წლის ვადით გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6 წლიანი ვადა ამოიწურა 2020 წლის ოქტომბრის თვეში, რის შემდგომაც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, აღარ დაინიშნა განმეორებით დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

ვინაიდან, მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობა იყო შრომითი ხასიათის, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განმცხადებელის მიმართ ადგილი ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას.

2.2. დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი

იმის განსაზღვრისას, მოხდა თუ არა პირის დისკრიმინაცია, უნდა შეფასდეს ნაკლებ სახარბიელო მოპყრობა განპირობებული იყო თუ არა **დაცული საფუძველით**. დაცული საფუძველი ისეთი მახასიათებელია, რომელიც რელევანტურად არ უნდა ჩაითვალოს განსხვავებული მოპყრობისთვის ან გარკვეული შეღავათებით სარგებლობისთვის²⁹.

ანტიდისკრიმინაციულ დებულებებს თან ახლავს იმ ნიშნების ჩამონათვალი, რომელთა საფუძველზეც დაუშვებელია განსხვავებული მოპყრობა. ამ ნიშნების კლასიკური ჩამონათვალი თითქმის იდენტურია საერთაშორისო და რეგიონალურ სამართლებრივ აქტებში. დაცული საფუძველების ჩამონათვალს ადამიანის უფლებათა ევროპული

²⁶ საქართველოს ორგანული კანონი, შრომის კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 2

²⁷ იქვე, მუხლი 2, ნაწილი 3

²⁸ იქვე, მუხლი 5, პუნქტი „გ“

²⁹ ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა, ქეთი მესხიშვილი, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მცდელობა ქართული და ევროპული პერსპექტივით, 2017, 58

სასამართლოს მე-14 მუხლი ითვალისწინებს. თუმცა, აღნიშნული მუხლი ამომწურავ ჩამონათვალს არ შეიცავს. შესაბამისად, დაცულ საფუძვლად მოიაზრება ბევრი ისეთი საფუძველი, რომელიც მუხლში პირდაპირ არ არის მითითებული, მაგალითისათვის, სექსუალური ორიენტაცია, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობა, პროფესია, ნასამართლობა და ფინანსური მდგომარეობაც კი.

ეროვნულ დონეზე დისკრიმინაციისგან დაცული საფუძვლები ასახულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლში. აღნიშნული მუხლის თანახმად, აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.³⁰ აშკარა უნდა იყოს არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა (ან არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა) *ამა თუ იმ ნიშნის* საფუძველზე, უფლებებით დაცული სფეროების მიხედვით.³¹

ამდენად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა, რომ განმცხადებელი იყოს სხვა პირებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებული **კონკრეტული ნიშნის საფუძველზე**. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ ნიშანსა და განსხვავებულ მოპყრობას შორის იყოს მიზეზობრივი კავშირი³².

დისკრიმინაციის დაცულ ნიშანთან მიმართებით, დ. ჭ. განმარტავს, რომ სამინისტროს უარი მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის თაობაზე განპირობებული იყო მისი მეუღლის, ა. ლ.-სა და შვილის, ბ. ლ.-ს, პოლიტიკური აქტივობით. ა. ლ. 2012 წლამდე იყო სოფელ ციხისძირის გამგებელი. ხოლო შემდგომი პერიოდიდან აქტიურად იყო ჩართული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობაში. ბ. ლ. კი 2020

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II.19

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493 საქმეზე “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II.2

³² Handbook on European non-discrimination law, (European Union Agency for Fundamental Rights, Council of Europe, 2010), 27

წლის საპარლამენტო არჩევნებზე ეხმარებოდა ამავე პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატ ცეზარ ჩოჩელს.

შესაბამისად, სწორედ, ა. და ბ. ლ.-ების **პოლიტიკური საქმიანობა და აღნიშნული საქმიანობიდან გამომდინარე აქტიურობა** შესაძლოა გამხდარიყო დ. ჭ.-სთვის, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლის დირექტორად განმეორებით დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველი. ამდენად, განსახილველი საქმის მიზნებისთვის, **პოლიტიკური კუთვნილება და პოლიტიკური საქმიანობა** წარმოადგენს დისკრიმინაციისგან დაცულ საფუძველს.

მართალია, დ. ჭ. თავად არ არის დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის მატარებელი და მისი პოლიტიკური კუთვნილება თუ აქტიურობა ვერ გახდებოდა შრომითსამართლებრივი ურთიერთობის არგაგრძელების საფუძველი, თუმცა, სახალხო დამცველის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა, სახეზე იყოს ასოციაციით დისკრიმინაციის შემთხვევა³³.

ასოციაციით დისკრიმინაცია წარმოადგენს პირდაპირი დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახეს, რა დროსაც, **დაცული ნიშანი, ანუ საფუძველი**, რის გამოც თანაბარ სიტუაციაში მყოფი პირებიდან ერთ-ერთს არათანაბრად (უსამართლოდ, არასახარბიელოდ) ეპყრობიან **უშუალოდ მსხვერპლს არ აქვს (არ ახასიათებს), არამედ იმ პირს, რომელთანაც მსხვერპლი ასოცირდება.**

განსახილველ შემთხვევაში, ა. და ბ. ლ.-ები, წარმოადგენენ დ. ჭ.-სთან ასოცირებულ პირებს, მეუღლესა და შვილს, შესაბამისად, დ. ჭ.-ს მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის შეფასებისას სახალხო დამცველი დაცულ ნიშნად განიხილავს **პოლიტიკური კუთვნილებასა და პოლიტიკურ საქმიანობას.**

2.3. განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-14 მუხლის [ძველი რედაქციით] მიზანია, არ დაუშვას არსებითად თანასწორის უთანასწოროდ მოპყრობა და პირიქით³⁴. ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს, მასზე თანაბარი წვდომის

³³ საქართველოს კანონი, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 2, პუნქტი 6

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-1

(ხელმისაწვდომობის) გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან³⁵.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, იმისათვის, რომ დადგინდეს დისკრიმინაცია, პირები არსებითად თანასწორები უნდა იყვნენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში და ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში³⁶. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში, განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ³⁷. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ დადგენილი წინაპირობა, რომ პირმა უნდა აჩვენოს ანალოგიური პოზიციაში ყოფნა, არ გულისხმობს, რომ შესაძარბელი ჯგუფები იდენტურები უნდა იყვნენ³⁸.

განსახილველ შემთხვევაში, დ. ჭ. არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება ყველა იმ დირექტორთან მიმართებით, რომელთაც ამოეწურათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6 წლიანი ვადა, თუმცა, მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, განმეორებით დაინიშნა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. ამდენად, ამ ეტაპზე, უნდა შეფასდეს, თუ რამდენად გამართლებულია დიფერენცირება.

2.4. ლეგიტიმური მიზანი და თანაბარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, აკრძალულია კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობა გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე³⁹.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად⁴⁰, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისით, პირთა შორის ყოველგვარი განსხვავება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539, II, 2

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493, II, 2

³⁷ ECtHR, D.H. and Others v. the Czech Republic [GC], no. 57325/00, 13/11/2007, § 175

³⁸ ECtHR, Clift v United Kingdom, no. 7205/07, 22/11/2010, § 66

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, ნაწ. II, პარ. 1

⁴⁰ საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 2, პუნქტი 3

თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

არათანაბარი მოპყრობის გამართლებელ გარემოებებთან მიმართებით, საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოსეული ასპექტები. საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომის თანახმად, ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა, თავისთავად, დისკრიმინაციას არ ნიშნავს. რიგ შემთხვევებში, დიფერენცირებული მოპყრობა შეიძლება საჭირო და გარდაუვალიც იყოს. დიფერენციაცია დისკრიმინაციული ხასიათისაა მაშინ, თუ იგი დაუსაბუთებელია. დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს, დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია და მოკლებულია გონივრულ საფუძველს⁴¹. დისკრიმინაციას წარმოადგენს არა მარტო ისეთი შემთხვევა, როდესაც მოქმედება პირდაპირ ისახავდა მიზნად პირის ან პირთა ჯგუფის დისკრიმინაციას, არამედ - ისეთიც, რომელსაც შედეგად მოჰყვა დე ფაქტო დისკრიმინაცია⁴².

დისკრიმინაციის გამართლებელ გარემოებებზე საუბრობს თავად „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონიც. რომლის საფუძველზეც, დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასთან ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება⁴³. განსხვავებული მოპყრობა, პირობების შექმნა ან/და მდგომარეობა დასაშვებია, თუ არსებობს სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი და სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში⁴⁴.

ამდენად, არასახარბიელო მოპყრობის გამართლებად და შესაბამისად, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება, თუ ამგვარი მოპყრობა ეფუძნება არსებითად ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურ შეფასებას; ითვალისწინებს საჯარო ინტერესს; ამყარებს სამართლიან ბალანსს საზოგადოების საერთო ინტერესსა და ინდივიდის უფლებებს შორის; ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს; არსებობს გონივრული, პროპორციული ურთიერთმიმართება განსხვავებულ მოპყრობასა და დასახულ ლეგიტიმურ მიზანს შორის.

განათლების სფეროში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხზე მსჯელობისას, განცხადებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს აღნიშნული მიმართულებით ქვეყანაში არსებულ ზოგად მდგომარეობაზეც.

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებულ ასპექტებზე დაყრდნობით აქვს განვითარებული მსჯელობა ყველა იმ საქმეში, სადაც ქმედების დისკრიმინაციული ხასიათი იყო შესაფასებელი

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბომე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II, 25

⁴³ საქართველოს კანონი, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 9, პუნქტი 8

⁴⁴ იქვე, მუხლი 9, პუნქტი 9

2.4.1. საგანმანათლებლო დაწესებულებების პოლიტიზების პრობლემა

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს წინასაარჩევნო პერიოდში სკოლების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების საკითხი. აღნიშნული მიმართულებით არც 2020 წლის საარჩევნო პერიოდი ყოფილა გამონაკლისი. 2020 წლის ოქტომბრის თვეში მცხეთის მუნიციპალიტეტის 6 სკოლის დირექტორი⁴⁵, რომელთა შორისაც მოხვდა დ. ჭ., ხელშეკრულების ვადის ამოწურვის საფუძველით თანამდებობიდან გაათავისუფლეს. დირექტორების განმარტებით, მათ მას შემდეგ გაიგეს გათავისუფლების შესახებ, რაც რესურს-ცენტრიდან ვერ მიიღეს ცნობა მოვალეობის შემსრულებლად კვლავ დანიშნვასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროცესები „განათლების კოალიციის“ მხრიდან შეფასდა როგორც სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დარღვევა⁴⁶.

გათავისუფლებულ 6 დირექტორს შორის მოხვდა წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, რამინ ჩიტაშვილიც, რომელმაც ხელშეკრულების ვადის არგაგრძელების საფუძველად ცეზარ ჩოჩელთან ახლოობობა და მისი მხარდაჭერა დაასახელა. ჩიტაშვილის განცხადებით, მას ყოველი არჩევნების წინ სთხოვდნენ, გაეკეთებინა სიები მმართველი პარტიის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების, რაზეც ის უარს აცხადებდა⁴⁷.

ზოგადი განათლების სისტემაში ჩართული ადამიანების – მასწავლებლები, დირექტორები და ა.შ. პოლიტიკური ნიშნით დევნისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის მიზნით 2020 წლის სექტემბერში შეიქმნა სკოლების დეპოლიტიზების მხარდამჭერი საზოგადოებრივი კომისია⁴⁸.

საარჩევნო პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების წინასაარჩევნო აგიტაციებისთვის მობილიზების საკითხი არაერთხელ დადგა დღის წესრიგში საპარლამენტო, ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ საპრეზიდენტო არჩევნებისას. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ადგილი ჰქონდა საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების (სკოლის, საბავშვო ბაღების პედაგოგების, ააიპ - ების თანამშრომლების) ჯგუფურ დასწრებას მმართველი პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრებზე, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ასეთი ხასიათის დასწრებები ორგანიზებულ და სავალდებულო ხასიათს ატარებდა, რაც ცალკეულ შემთხვევებში დასტურდებოდა⁴⁹.

⁴⁵ სტატია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QtYw5a>

⁴⁶ განათლების კოალიციის 2020 წლის 22 დეკემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bitly.com/>

⁴⁷ „თამარ ჩიხლაძის „დღის ამბები“ - რამინ ჩიტაშვილი“, ტვ. პირველის ფეისბუქ გვერდი, 13.10.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3o8cRRd>

⁴⁸ სტატია ხელმისაწვდომია: https://publika.ge/ra-mizani-eqneba-skolebis-depolitizebis-mkhardamcher-sazogadoebriv-komisias/?fbclid=IwAR3euXUGXg-kOXocfLhYoRJOjHwNVMwBdzDYoEKAg-rMs7W_sH_QtpY-go

⁴⁹ რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის, 2018, ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/sites/default/files/rekomendaciebi-saarchevno-garemos-gaumjobesebistvis_1.pdf

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების, წინასაარჩევნო პერიოდში, გავრცელდა ვიდეო, რომლითაც იკვეთებოდა, რომ ქალაქ ზუგდიდში, იმდროინდელი პრემიერ - მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის, მიერ პარტია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის წარდგენას, დირექტორებისა და მასწავლებლების ორგანიზებით, სკოლის მოსწავლეებიც ესწრებოდნენ. ასევე, ფიქსირდებოდა შემთხვევები, როდესაც ბავშვები ადგილზე მოტყუებით მიიყვანეს, უთხრეს, რომ კონცერტზე წასასვლელად იკრიბებოდნენ და ადგილზე მათ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის წარდგენა დახვდათ⁵⁰.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას ხარაგაულში, საპრეზიდენტო კანდიდატის შეხვედრას ესწრებოდნენ ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის დირექტორი და ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი. ხოლო სალომე ზურაბიშვილის მიერ ნინოწმინდას, ახალქალაქსა და ასპინძაში გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრებს მუნიციპალიტეტების მერიის თანამშრომლებთან ერთად დაესწრნენ სკოლების, ა(ა) იპ-ებისა და საბავშვო ბაღების წარმომადგენლებიც⁵¹.

სკოლის პოლიტიკების მიმართულებით განსაკუთრებით მწვავე იყო ზუგდიდის N6 საჯარო სკოლის დირექტორის, ია კერზაიას, საქმე. 2018 წლის 8 ნოემბერს განათლების სამინისტროს ია კერზაიას წინააღმდეგ საჩივრით მიმართა მოქალაქე ლავრენტი ქირიამ. აღსანიშნავია, რომ გამოძიების შედეგად, ამ სახელის მქონე პირის, ან მის მიერ მითითებული მისამართის რეალური არსებობა არ დადასტურდა⁵². აღნიშნული საჩივრის საფუძველზე, 2018 წლის 9-15 ნოემბერს, ზუგდიდის N6 საჯარო სკოლაში ინსპექტირება განხორციელდა, რის შედეგადაც, განათლების მინისტრმა სკოლას ია კერზაიას გათავისუფლების რეკომენდაციით მიმართა. რეკომენდაცია სკოლის სამეთვალყურეო საბჭომ არ გაიზიარა, რადგან მიიჩნია, რომ მითითებული დარღვევები მოკლე დროში აღმოფხვრადი იყო. ია კერზაიამ 2018 წლის 26-27 ნოემბერს საჯაროდ განაცხადა, რომ მის მიმართ პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდებოდა. მისი განმარტებით, მიიღო დავალება, რომ სკოლის პედაგოგებთან უნდა ეწარმოებინა აგიტაცია სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად, რაც არ გააკეთა, რის შემდგომაც სკოლაში ინსპექტირების სამსახური მის „დასასჯელად“ შევიდა⁵³.

ია კერზაიას ირგვლივ მიმდინარე მოვლენები შეისწავლა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED), რომლის შეფასებითაც, მოქალაქის

⁵⁰ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საქართველოში, 2017, გვ.12, შუალედური ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tt3Rs8>

⁵¹ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, 2018, გვ.19, შუალედური ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3smVDQX>

⁵² სახალხო დამცველის 2019 წლის 29 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-ia-kerzaias-gardatsvalebis-faktze-chatarebuli-gamodziebis-shedegebs-afasebs>

⁵³ სიუჟეტი ხელმისაწვდომია: <https://rustavi2.ge/ka/video/38032?v=2> 1:03:40 წუთი

განცხადების განხილვისა და შემოწმების დაწყების შემჭიდროებული ვადები, ინსპექტირების ფორმა, გამოცემული დასკვნა და გაცემული რეკომენდაციები აჩენდა ექვებს ზუგდიდის N6 საჯარო სკოლის დირექტორის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული და შერჩევითი მიდგომის თაობაზე. მათი შეფასებით, აღნიშნული რეკომენდაციები მიმართული იყო არა დარღვევების გამომწვევი მიზეზების მოგვარებისკენ, არამედ, ორიენტირებული იყო მხოლოდ სკოლისა და მისი დირექტორის დასჯაზე⁵⁴. სამინისტროს მხრიდან 2018 წელს საჯარო სკოლებში ჩატარებული ინსპექტირების შემთხვევები „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მხრიდანაც შეფასდა როგორც საარჩევნო გარემოზე ზემოქმედების მოხდენის ინსტრუმენტი⁵⁵.

ISFED-ის ინფორმაციით, 2018 წლის არჩევნების პერიოდში სხვადასხვა რეგიონში საგანმანათლებლო თუ სხვა ტიპის საჯარო და კერძო სტრუქტურებში დასაქმებულ პირებზე მასიურად ხორციელდებოდა ზეწოლა სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ აგიტაციის გაწევისა თუ მისთვის არჩევნებზე ხმის მიცემის დავალების მოთხოვნით. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიულ ორგანოებში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები შეხვედრებს მართავდნენ საჯარო სკოლების დირექტორებთან, რომლებსაც კონკრეტულ დავალებებს აძლევდნენ წინასაარჩევნოდ⁵⁶.

2019 წლის 3 თებერვალს ზუგდიდის N7 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ დაიბარეს ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში, სადაც მას დახვდნენ რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი და თანამშრომელი. მის მსგავსად დაბარებულნი იყვნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების დირექტორები, რომლებიც რიგ-რიგობით შედიოდნენ რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის კაბინეტში. კაბინეტში შესულ ზუგდიდის N7 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა მოსთხოვა ეთქვა, თუ რომელი მასწავლებელი რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს უჭერდა მხარს, ასევე დაავალა პედაგოგებს დალაპარაკებოდა და სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერისკენ მოეწოდებინა. ხელმძღვანელმა ასევე მოითხოვა, „ქართული ოცნების“ მიერ დაგეგმილ აქციაზე დირექტორს არანაკლებ 7 მასწავლებელი მიეყვანა. ზუგდიდის N7 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დავალება არ შეასრულა, რის გამოც იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მოგვიანებით ზუგდიდის N7 საჯარო სკოლაში დირექტორის მოადგილედ დაინიშნა ერთ-ერთი საარჩევნო კომისიის წევრი,

⁵⁴ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), ინსპექტირება, როგორც სადამსჯელო ღონისძიება ზუგდიდის N6 საჯარო სკოლაში, 2019, ხელმისაწვდომია: <https://isfed.ge/geo/angarishebi/inspeqtireba-rogorts-sadamsdjelo-ghonisdzieba-zugdidis-6-sadjaro-skolashi>

⁵⁵ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2019 წლის 03 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/skolebshi-inspeqtirebis-meqanizms-savaraudod-saarchevno-garemoze-zemoqmedebis-mokhdenis-miznit-iyenebdnen#sthash.hSgvSCeX.5vqIgYQw.dpbs>

⁵⁶ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), ინსპექტირება, როგორც სადამსჯელო ღონისძიება ზუგდიდის N6 საჯარო სკოლაში, 2019, გვ. 6, ხელმისაწვდომია: <https://isfed.ge/geo/angarishebi/inspeqtireba-rogorts-sadamsdjelo-ghonisdzieba-zugdidis-6-sadjaro-skolashi>

რომელმაც რესურს ცენტრის ხელმძღვანელს მიაწოდა ინფორმაცია, თუ რამდენი პედაგოგი იმყოფებოდა N7 საჯარო სკოლიდან არჩევნებზე.⁵⁷

განხილული შემთხვევები ნათლად მიუთითებს, რომ, ხშირ შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულებები, შესაძლოა, გამოყენებული იყოს პოლიტიკურ ინსტრუმენტად, რაც, თავის მხრივ, ზრდის ცალკეულ გადაწყვეტილებათა პოლიტიკური ნიშნით მიღების რისკს.

2.4.2. ხელშეკრულების ვადის გასვლა

დისკრიმინაციული მოპყრობა, ხშირ შემთხვევაში, სწორედ სამუშაო ადგილიდან გათავისუფლებაში გამოიხატება⁵⁸. საქართველოს შრომის კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ აკრძალულია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა შრომის კოდექსით განსაზღვრული დისკრიმინაციის საფუძველით⁵⁹. საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველების გათვალისწინებით, დისკრიმინაციული ნიშნით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება დაფიქსირდეს როგორც შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლისას, ასევე ხელშეკრულების მოშლისას⁶⁰.

დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევებთან მიმართებით კანონმდებლობა ექსპლიციტურად განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმარტებულ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. „დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი“ ნიშნავს, რომ განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი, რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სახალხო დამცველს უნდა წარმოუდგინოს ისეთი

⁵⁷ იქვე, გვ.7

⁵⁸ General Survey on the fundamental Conventions concerning rights at work in light of the ILO Declaration on Social Justice for a Fair Globalization, 2008, §784, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed_norm/@relconf/documents/meetingdocument/wcms_174846.pdf

⁵⁹ საქართველოს ორგანული კანონი, შრომის კოდექსი, მუხლი 47, ნაწილი 5, ქვეპუნქტი „ბ“

⁶⁰ ზ. შველიძე, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის რეგულირება ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სამართლის ჟურნალი N 2, რედ. ბ. ზოიძე, თბილისი, 2012, 263

ლეგიტიმური მიზანი, რომელიც წარმოადგენს განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას.⁶¹

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, სახალხო დამცველს წარმოეშვა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, შესაბამისად, მოპასუხე მხარეზე გადავიდა იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა და დაეკისრა ვალდებულება, რომ წარმოედგინა ის ლეგიტიმური მიზანი, რომელიც იქნებოდა განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება.

მოპასუხე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, განმცხადებელი სამსახურიდან გათავისუფლდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად - შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო. ამდენად, შრომითი ურთიერთობის გაგრძელებაზე უარისა და განსხვავებული მოპყრობის გამამართლებელ **ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა ხელშეკრულების ვადის გასვლა.**

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ ხელშეკრულების დადების თავისუფლების (იგივე შრომის თავისუფლების) ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით, რთულია დამსაქმებლის გადაწყვეტილებაში გაიმიჯნოს დამსაქმებლის დისკრიმინაციული მოპყრობა და მისი თავისუფალი ნება ახალი ხელშეკრულების დადებაზე (ანუ გაგრძელებაზე) უარის თქმის შესახებ. ნების ავტონომიის პრინციპი ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვის მოქმედებისთვის ქმნის ერთგვარ შემაკავებელ ბარიერს⁶². უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ თავისთავად სამუშაოს შესრულების ვადის გასვლა და ამის გამო სამუშაოდან გათავისუფლება არ ნიშნავს, რომ დისკრიმინაციას აქვს ადგილი⁶³, რამდენადაც დამსაქმებელი არ არის შებოჭილი, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ კვლავ გააგრძელოს ხელშეკრულება ყოფილ დამსაქმებელთან. მსგავს შემთხვევაში, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის საკითხი, დარწმუნება იმაში, რომ ხელშეკრულების ვადის არ გაგრძელება განპირობებული იყო არა ობიექტური გარემოებებით, არამედ დისკრიმინაციული საფუძველით.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ დ. ჯ. წარმოადგენდა პროფესიონალ კადრს, რომელმაც საქმიანობის 6 წლიან პერიოდში სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ

⁶¹ მტკიცების ტვირთის გამოყენების შესახებ იხილეთ სახალხო დამცველის რეკომენდაციაში: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3877.pdf>, გვ. 6-10

⁶² ზ. შველიძე, ქ.ბოდონე, თ. თოდრია და სხვები, საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, სახელმძღვანელო მოსამართლეების, იურისტებისა და სამართლის პედაგოგებისთვის, თბილისი, 2017, გვ. 263

⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 13 ივლისის განჩინება საქმე Nას-250-235-2010

ქსნის საჯარო სკოლაში არაერთი წარმატებული პროექტი განახორციელა. ამასთან, იგი სასურველი კადრი იყო როგორც სკოლის პედაგოგებისთვის, ასევე მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის, რაც დაფიქსირდა სამინისტროსთვის გაგზავნილ განცხადებებშიც⁶⁴, რომლითაც მოსწავლეები და მშობლები მინისტრს დ. ჭ-ს სკოლის დირექტორის თანამდებობაზე დატოვებას სთხოვდნენ. განმცხადებლის დირექტორობის პერიოდში სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლის შეფასებასთან მიმართებით მოპასუხემ აღნიშნა, რომ სამინისტროში არ არის დაცული რაიმეს სახის ინფორმაცია სკოლის მონიტორინგის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სახალხო დამცველს შესაძლებლობას მისცემდა შეეფასებინა, თუ როგორ ფასდებოდა სამინისტროს მხრიდან დ. ჭ.-ის მიერ სკოლის მართვის საკითხი. მითითებული ინფორმაციის არარსებობა წარმოშობს ვარაუდს, რომ დ. ჭ.-ის დირექტორობის პერიოდში მის მიმართ სამინისტროს მხრიდან რაიმე უარყოფითი დასკვნა ან შეფასება არ გაკეთებულა, რაც განმეორებით დანიშვნის საკითხის განხილვისას შექმნიდა სამართლებრივ საფუძველს, აღარ გაეგრძელებინათ მისთვის ხელშეკრულების ვადა და დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, განმეორებით აღარ დაენიშნათ სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლის დირექტორად.

მეუღლის პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, დ. ჭ.-მ სახალხო დამცველს წარმოუდგინა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური ადმინისტრაციის უფროსის მიერ გაცემული ცნობა⁶⁵, რომლითაც დასტურდება, რომ ა. ლ. არის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი და იგი აქტიურად მონაწილეობდა საარჩევნო კამპანიებსა და სხვადასხვა პარტიულ ღონისძიებებში. დ. ჭ.-ის მხრიდან ასევე იქნა წარმოდგენილი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი⁶⁶, რომლის თანახმადაც, სკოლის მოქმედი დირექტორი, ნ. ქ., ფიქსირდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ. ნ. ქ.-სთან მიმართებით დ. ჭ.-მ აღნიშნა, რომ, მისგან განსხვავებით, ნ. ქ.-ს არ აქვს დირექტორობის სერთიფიკატი, იგი დირექტორად საარჩევნოდ გაწეული შრომის დაფასების მიზნით დანიშნეს.

განსახილველი საქმის მიზნებისთვის, სახალხო დამცველი მხედველობაში მიიღებს იმ კონტექსტსაც, რომელიც ქვეყანაში საგანმანათლებლო დაწესებულების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების მიმართულებით არსებობს და იმ ვითარების ბუნდოვანებას, რომელიც, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის საფუძველით, მცხეთის მუნიციპალიტეტის 6 საჯარო სკოლის დირექტორის გათავისუფლებას მოჰყვა. წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის

⁶⁴ სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის პედაგოგთა 2020 წლის 16 ოქტომბრის კოლექტიური განცხადება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს; სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლების განცხადება

⁶⁵ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური ადმინისტრაციის უფროსის, ზურაბ მელიქიშვილის 2021 წლის 12 მარტის ცნობა N124/01

⁶⁶ საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის - 21.11.2020 საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, საარჩევნო ოლქი N11, საარჩევნო უბანი N11.27.46

ყოფილმა დირექტორმა, რამინ ჩიტაშვილმა, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ცეზარ ჩოჩელის ნათესავია, ღიად განაცხადა, რომ მას ყოველი არჩევნების წინ სთხოვდნენ, გაეკეთებინა მმართველი პარტიის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების სიები, რაზეც ის უარს აცხადებდა⁶⁷. დ. ჭ.-ის მხრიდან ასევე დასახელდა სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის დირექტორი, რომელიც თავდაპირველად სამინისტროს მიერ დაწინაურებულ 6 დირექტორის სიაში მოხვდა, ხოლო 2020 წლის დეკემბრის თვეში განმეორებით დაინიშნა მოვალეობის შემსრულებლად⁶⁸.

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ მხარისათვის მინიჭებული ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ არის შეუზღუდავი. იგი ყოველთვის შემოფარგლულია მისი განხორციელების მართლზომიერებით⁶⁹. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ უფლებები და ვალდებულებები. ამავე კოდექსის 115-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. შესაბამისად, ნების ავტონომია შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც ხდება აღნიშნული უფლებით არამართლზომიერი და არაკეთილსინდისიერი სარგებლობა, რასაც შედეგად მოჰყვება ცალკეულ უფლებრივ ჯგუფთა დისკრიმინაცია.

სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილ პოზიციაში სამინისტრო შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაციით იმასთან დაკავშირებით, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ დირექტორის გათავისუფლებას დაკავებული თანამდებობიდან და სწორედ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სხვა დირექტორების მსგავსად, რომელთაც ასევე ამოეწურათ 6 წლიანი ვადა, დ. ჭ.-საც შეუწყდა საქმიანობა. სამინისტროს კონკრეტულად არ განუმარტავს თუ რა გახდა დ. ჭ.-სთვის განმეორებით დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველი, ამასთან, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა ვადის გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტისას. აღსანიშნავია, რომ ცალკეული სკოლის დირექტორები, რომელთაც ასევე ამოეწურათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6 წლიანი ვადა, განმეორებით დაინიშნენ დირექტორების მოვალეობის შემსრულებლებად⁷⁰. შესაბამისად, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა რეალური გამამართლებელი საფუძველი, რომელიც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე წარმოშობილ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდს გააქარწყლებდა.

⁶⁷ „თამარ ჩიხლაძის „დღის ამბები“ - რამინ ჩიტაშვილი“, ტვ. პირველის ფეისბუქ გვერდი, 13.10.2020, <https://bit.ly/3o8cRRd>

⁶⁸ დ. ჭ.-ის 2020 წლის 04 დეკემბრისა და 2021 წლის 15 იანვრის განცხადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს

⁶⁹ საქართველოს კანონი, სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115

⁷⁰ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ სახალხო დამცველს წარმოუდგინა ცხრილი, სადაც ასახულია ინფორმაცია, თუ რამდენ დირექტორს ამოეწურა 2020 წლის სექტემბერ-დეკემბერში საქმიანობის ვადა და რამდენი მათგანის დანიშვნა მოხდა განმეორებით

ამდენად, საგანმანათლებლო სისტემის პოლიტიზებისა და პირთა შესაძლო დისკრიმინაციული საფუძვლით გათავისუფლების მომატებული რისკის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის შეფასებით, ეჭვს იწვევს, რომ დ. ჭ.-სთვის დაკავებულ თანამდებობაზე განმეორებით არდანიშვნა დროში ემთხვევა მეუღლისა და შვილის პოლიტიკურ აქტიურობას, ამასთან განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან საჭირო ინფორმაციის წარმოუდგენლობა კიდევ უფრო ამყარებს აღნიშნულ ეჭვს და, რეალურად, ვერ უზრუნველყოფს დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდის გაქარწყლებას.

3. დასკვნა

განსახილველ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასების შედეგად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დ. ჭ.-სთვის შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან საფუძვლად დაედო ასოციაციით პოლიტიკური შეხედულების გამო დისკრიმინაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მიმართავს რეკომენდაციით:

- მომავალში თავი შეიკავოს შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში დისკრიმინაციული მოპყრობისგან და საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელოს თანასწორობის პრინციპების უპირატესი დაცვით;
- დაუყოვნებლივ შეიმუშაოს განჭვრეტადი კრიტერიუმები და პროცედურები, რომლის მიხედვითაც, საჯარო სკოლების დირექტორების განმეორებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა - გათავისუფლების მიზანშეწონილობა განიხილება;
- გადადგას ქმედითი ნაბიჯები საგანმანათლებლო დაწესებულებების დეპოლიტიზირების მიმართულებით.

გთხოვთ, წინამდებარე ზოგადი წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,